დადგენილება 19/2020 „საგანგებო მდგომარეობის გამო სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო ვადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 მარტის N15/20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დადგენილება №19/2020

14 აპრილი 2020

დადგენილება 19/2020 „საგანგებო მდგომარეობის გამო სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო ვადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 მარტის N15/20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, 63–ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აპრილის N13 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო ვადების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 მარტის N15/20 დადგენილებაში და მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ქვემოთ ჩამოთვლილ კურსებში მეცადინეობა ჩატარდეს არსებული სამეცადინო ცხრილის მიხედვით ონლაინ სწავლებით:

1. ფსიქოლოგიის საფუძვლები - პედ. ა. მიქიაშვილი;

2. მუს.ლიტერატურის სწავლების მეთოდები - პედ. თ. თავშავაძე;

3. თანამედროვე ტექნოლოგიები - პედ. რ. თაყაიშვილი;

4. კომპიუტერული პროგრამები - პედ. თ. თევდორაშვილი.

ხოლო დანარჩენი საგნები ჩატარდეს სწავლის აღდგენის შემდეგ ინტენსიურად, ვინაიდან პრაქტიკული ხასიათისაა.“.

2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე www.tsc.edu.ge

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

4. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე.

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე